ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ №–– 14

ჭიათურა **24 აპრილი 2023წ**

ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლის (შემდგომში „შემსყიდველი“) დირექტორის მ/შ რუსუდან ბიწაძე და მეორეს მხრივ შპს “ოფისი”-ს (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორი ია ბაძგარაძის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი: 415593628, სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: ა/აGE91BG0000000636020800-) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების დანართი №1-ით (დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) გათვალისწინებული საქონლის (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია არ მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად ამოწურვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 250(ორას ორმოცდაათი ლარი)ლარს

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:

3.1. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება.

3.2. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს დანართით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება დადგენილ ვადაში .

33. განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის შემოწმება, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს მიმწოდებელს და მოსთხოვოს წუნდებული საქონლის შეცვლა გონივრულ ვადაში.

3.4. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები;

3.5. მიაწოდოს შემსყიდველს ვარგისიანი საქონელი დადგენილ ვადაში;

3.6. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

3.7. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

3.8. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდების შესახებ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოებების შედეგი.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ მიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

5.3. ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 2 (ორი) კვირით ადრე.

6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ერთი მხარე წერილობით გაფრთხილებას უგზავნის მეორე მხარეს ხელშეკრულების პირობების სათანადო შესრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე უფლებას იტოვებს ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების (უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიწოდება) ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულებების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.
7.2. იმ შემთხვევაში თუკი ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს მიმწოდებელი ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10 %-ით.
7.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების საშუალებით მოაგვარონ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების მიმდინარეობის მთელი პერიდის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 31 დეკემბრამდე.
11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 01 თებერვლამდე.

12. დამატებითი პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
12.2 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ
ტყემლოვანის საჯარო სკოლა
საიდენ. კოდი: 2015606592
მისამართი: სოფელი ტყემლოვანა
მიმღები ბანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE22BG0000000119252000

დირექტორის მ/შ: რუსუდან ბიწაძე /----------

„მიმწოდებელი“:
შპს “ოფისი”

საიდენტიფიკაციო კოდი: 415593628

სს „-საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: ა/ა GE91BG0000000636020800

დანართი №1

CPV კოდი	დასახელება
30100000	საკანცელარიო ნივთები
22800000	ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები და წიგნები
30200000; 30237200,	კომპიუტერის აქსესუარები

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ჭიათურა **-------- .2023წ.**

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის „ე” ქვეპუნქტის საფუძველზე მე, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლა, ხელმოწერით ვადასტურებ, რომ შპს „ოფისი“-თან გაფორმებულ № ----- საკანცელარიო და კომპიუტერული აქსესუარების (CPV კოდი 30200000; 30237200, 22800000 22800000) შესაძენად სახელმწიფო შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა მიმწოდებელთან მიმართებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორის მ.შ:
/რუსუდან ბიწაძე/